# ივერია

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 5 აპრილს.

---

გაზეთი „ივერია“ აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.

---

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაწვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---


სააღდგომო საჩუქარი

**ქართველებს.**

იხილეთ მეოთხე გვერდზედ

ქართველთა ამხანაგობის განცხადება.

---

კვირას, 12 აპრილს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში იქნება.

## საზოგადო კრება

ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა.

საგნები კრებისა:

1) ახალი წევრების ამორჩევა;

2) 1 ოქტომბრის 1890 წლ.—1 აპრილის 1892 წლ. ანგარიშის დამტკიცება;

3) ახალის მმართველობისა და კომისიების ამორჩევა.

ვისაც წარსულის წლის საწევრო ფული (5 მ.) არ შემოუტანია, კრებაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. მმართველობა უმორჩილესად სთხოვს წევრებს, საწევრო ფულის შემოტანა დააჩქარონ.

(5—3)


## ახალი ამბავი

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა გუბერნატორებს, რომ სასოფლო აფთიაქების გამართვის ნება მხოლოდ იმათ მისცენ, ვინც საფარმაცევტო საქმეში ძლიერ კარგად არის დახელოვნებული, და ამასთანავე მიაქციონ ყურადღება, რომ აფთიაქების პატრონები და მმართველები კარგის ზნეობისანი იყვნენო. ეს განკარგულება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ სასოფლო აფთიაქები დაშორებულია სამკურნალო მმართველობებს და, მაშასადამე, იმათი კანტროლი ძლიერ ძნელიაო.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ თიონეთის ნოტარიუსის ადგილის მსურველთ შეუძლიანთ 1 მაისამდე შეიტანონ თავისი თხოვნა ოლქის სასამართლოში. 1 მაისს, 12 საათზედ, სანოტარიუსო დებულების მე-15 მუხ. ძალით, დანიშნულია მსურველთა გამოცდა.

*** ორშაბათს, 30 მარტს, ტფილისის რკინის გზის სადგურზედ დაიწყეს ვაგონების დატვირთვა წინანდლის საუფლისწულო ვენახების ღვინით. 1,500 ბოჩკა გაიგზავნება პეტერბურგს სახელმწიფო სასახლისათვის. ეს ჯერ პირველად მიაქვთ ხელმწიფის სასახლესათვის კახური ღვინო, აქამდე სასახლეში ან საზღვარ-გარეთიდგან მოტანილს ღვინოსა ჰხმარობდნენ, ან ყირიმისას.

*** ტფილისის ობოლთა სასამართლო სთხოვს ქალაქის თვითმმართველობას, რომ მომავალ კრებაზედ ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარეს კანდიდატი ამოარჩიეთო.

*** ერთს წიგნების მბეჭდველს შეუგროვებია და დაუწყია ბეჭდვა ტფილისში ბ-ნ ს. მგალობლიშვილის მოთხრობათა. წიგნში მოთავსებული იქნება სახელდობრ შემდეგი მოთხრობანი: «გმირისეული ქალი», «მთიული სოსე», «მეველე», «თავადი იერონიმე» და რამდენიმე სხვა პატარა ამბავი. ზოგიერთი ამათ შორის ცალკეც იქნება დაბეჭდილი ხალხისათვის და თითო წიგნი 5 კაპ. მეტი არ ეღირება.

*** ამ ახლო ხანებში დაიბეჭდა ტფილისში სხვათა შორის შემდეგი პატარა წიგნები: 1) წუთი-სოფლის სიმღერა, თქმული ლაზარევისაგან, 2) ტარიელას ლექსი, თქმული ლელაშვილის მიერ, 3) ჯუმჯუმ ხელმწიფის ამბავი, გალექსილი დ. გივიშვილისა, 4) რჩეული ლექსები, ივანოვისა, 5) სიზმრის ახსნა, ახპატელოვისა და სხვანი.

*** ტფილისში უთარგმნიათ ქართულად და განუზრახავთ დაბეჭდვა ლუნკევიჩის წიგნაკებისა: «მაიმუნების აღწერა» და «ჭიანჭველების გონება».

*** 31 მარტს, 3 საათზედ, ნავთლუღში წამოწოლილმა მიწის ზვავმა მოიყოლა ქვეშ სამარის მცხოვრები ალექსანდრე პავლოვი. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

*** 31 მარტს, 6 საათზედ, ფაიტონმა გაიტანა ბავშვი ბაგრატ შახნაზაროვი და თავი და გული ძლიერ დაუშავა. ყმაწვილი ცხრა წლისაა. დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს.

*** 30 მარტს ბაქოს ახლო, საბუნჩისთან, რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად იპოვნეს გვამი ვიატკის გუბერნიის გლეხის მოსე ოზიაბინისა. ამ კაცის მკვლელობის ნამდვილი მიზეზი ჯერ არავინ იცის.

*** თელავი. ჩვენთა, ქართველების სასიამოვნოდ, ქართული გალობა ეკკლესიებში თანდათან ხშირდება აქეთ მხარეს. აი მაგალითებრ სოფ. აწყურში (თელავის მაზრა) იქაურმა სკოლის მასწავლებელმა ბ-ნ შავლიშვილმა შეასწავლა მოწაფეებს ქართული საეკკლესიო ხმები და მუდამ კვირას ორპირად აგალობებს მოწაფეებს საყდარში. ხალხი ბლომად დაიარება ეკკლესიაში და დიდის სიამოვნებით ისმენს წირვა-გალობას.

თვით თელავის «სობოროშიაც» მოვისმინეთ რამდენჯერმე ქართული გალობა, პატარა ქალ-ვაჟთა მიერ შემდგარ მგალობელთა დასისაგან, რომელიც შეადგინა იმავე ეკკლესიის სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა მაისურაძემ. მგალობელთა დასი ჯერ ახალია და შემდეგში, როგორც ეტყობა, კარგი დადგება.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველა ამ ნაირს მოღვაწეს, ვინც-კი სცდილობს, ცოტად მაინც გაავრცელოს ხალხში ქართული გალობა.

*** სოფ. ხუმლაგა (კავკავის მაზრა): თოთხმეტს მარტს ხუმელაგაში შემდეგი საცოდაობა დატრიალდა: ერთს კაცს, სახელდობრ გავდინ ტეტირმაზოვს, ჰყავდა ერთად-ერთი ვაჟი ცხრა წლისა; მამის საუბედუროდ, ეს ყმაწვილი თავის უგუნურებით შემჯდარა გაუხედნელს კვიცცხენზედ. კვიცმა გაითამაშა თურმე და გადმოაგდო ცხრა წლის ბავშვი. საბრალო თავდაყირა დაეცა დედამიწაზედ ‡ გაშეშებული დარჩა. მეორე დღემდე-კი იცოცხლა და მერე განუტევა სული. იმისის დედ-მამის ცოდვით მთელი სოფელი დაიწვა.

*** დ. ყვირილა: 31 მარტს საქონლის მატარებელმა № 33 მე-120 ვერსზედ გაიტანა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფ. პუტის გლეხ-კაცი, იპოლიტე სარალიძე, რომელიც ყრუ-მუნჯი იყო.

*** ნიჭიერი და ცნობილი სომეხთა პოეტი გამარ-ქათიბა, რომელიც ორმოცს წელზედ მეტსა ჰშრომობდა სამშობლო ლიტერატურისათვის, ამ ჟამად ნონის ნაპირზედ ნახიჩევანში სცხოვრობს თურმე და ხელმოკლეობით ძლიერ შევიწროებულია. აი რასა სწერს ამის შესახებ ბ-ნი ჩალხუშიანი:

„მე მრცხვენიან, რომ ჩვენი საყვარელი პოეტი ასეთს გაჭირვებაშია. ჯერ ერთი, რომ ავად არის და, მეორეც, ძლიერ გაჭირვებულია. არამც თუ იწამლოს, იმდენი ფულიც არა აქვს, რომ ოჯახი ასაზრდოოს. მკურნალები ურჩევენ, რომ მჟავე წყლებზედ წავიდეს მოსარჩენად, მაგრამ რა საშუალებით? შინ ავეჯიც-კი არ დარჩა, რადგანაც მოვალეებმა ყველაფერი გაუყიდეს. ადამიანს გულს უკლავს იმისი მდგომარეობა. ავადმყოფი წევს ლოგინში, მაგრამ იმის მიმქრალს თვალებში კიდევ ღვივის ნაპერწკალი მაღალის ნიჭისა“ («მშაკ»-ი).

*** გაზეთ «Нов.»-ს სიტყვით, ამას წინად ერთს კავკასიის მემამულეს სახელმწიფოს სამინისტროსათვის მიურთმევია მოხსენება, რომელშიაც ამბობს, რომ კავკასიაში ძლიერ ცოტა ადგილიაო აქვთ რუსებს დათმობილი დასბსახლებლად. მოხსენების ავტორი ამბობს, რომ შავის ზღვის პირს მდებარე ადგილებში გადმოსახლებამ ამ 25 წლის განმავლობაში ვერა ფრად იმატაო.

*** გუშინ ამ თთვის 31 პოლიციის სხვა და სხვა განყოფილებაში ორმოც-და-ექვსი უბაშფორთო კაცი შეიპყრეს.

---

## ფელეტონი

**ჩვენი უთავბოლობა.**

ჩვენი მწერლობა და მისი მოვალეობა.

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 70)

მაგრამ ჩვენ რომ საზოგადო და სალიტერატურო კრიტიკა გვებადოს, მაშინ თითბრისა და ჰიქის ნამსხვრევები ველარ იფიქრებდნენ: ოქრო-ბრილიანტი ვართო, და ველარც სხვებს შეიყვანდნენ შეცდომაში. ჩვენი საუკუნე რაღაც ნაირ სიყალბისა და მოჩვენების საუკუნეა: ოქრო თიბრად გვეჩვენება და თითბერი—ოქროდ, რის გამოც დღეს ყველა აჰია-ბაჰიას მხანხლავს და მბოდავს კიტრად ღირებული თავი გენიოსად მიაჩნია და ყველას ტუჩ-ატრუკვით ებლვირება. ჩვენც, მეტი რა გზაა, მდაბლად თავი უნდა მოვიხაროთ იმ ძალად-გენიოსების წინაშე და ასე უნდა მოვახსენოთ მოწიწებით გულზე ხელებ-გადაჯვარედინებულებმა: ჩვენ მიწიერნი თქვენ ზეციერსა სად შეგედრებით, ბატონო ჩვენო!... დიაღ, სადაც მწერლობას პირში არ უდგა გამოსარკვევლად კრიტიკის ცხავი, იქ ყველა მჯღაბნავს სისულელისას დიდ პოეტ-მწერლად მიაჩნის თავი; იქ ხელოვნებაც ისე მდიდრულად და სათვალჩინოდ ვერ აყვავდება, რომ სხვის ქვეყნადაც გაიდგას ფესვი და მიიქციოს მისი ყურადღება; იქ არც ხალხს ესმის: რა არს მწერლობა და რის შემძლეა მწერლის ნაწერი, ან რა კაცია თითონ მწერალი: მოკეთე არის, თუ ქვეყნის მტერი. მწერლობა ხალხის ცხოვრებას ჰხატავს, და თუ მწერლობას ვერ იცნობს ერი, ეს იმას ჰნიშნავს, რომ თავის თავსაც ვერ იცნობს იგი გონ-მანკიერი. ვინც თვის ქვეყანას და თავს ვერ იცნობს, ის ვერ ჩაიდენს საქმეს გმირულსა, ვერც ეროვნების მომხრე დევ-გმირებს მისცემს მხარსა და გადუშლის გულსა...

„Нуженъ великій поэтъ, который-бы освѣтилъ сердце современнаго общества“, სთქვა ერთმა ქვეყნის გულ-შემატკივარმა ახალ თაობის საყურადღებოდ და ეხლა-კი თქვენ იცით და თქვენმა მადლმა ცოდნა-გამოცდილებისამ, ვინ როგორს უნარსაც გამოიჩენთ სამშობლო ქვეყნის სხვა-და-სხვა სამოღვაწეო საპარეზზედ. „მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შეჰრგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაჰზარებია»!.. ამბობს საქართველოს პოეტი, არც ეს დავივიწყოთ, ხოლო ყველამ ჩვენი საფერისი ასპარეზი-კი ვიცოდეთ, რომ «მუმლო, ფასკუნჯის ადგილი საფრენად რისთვის გწადიან» არვინ გვითხრას შხამ-გესლიანის დაცინვით. მეორეც ეს, როცა პიტალო ოქროს ჯავრი გვჭირს, იმის გამოსაჯავრებლად ყალბს ოქროს ნუ ვაქებ-ვადიდებთ, პირველად ნუ ვსთვლით, წინ ნუ ვაყენებთ და თავში ნუ ვსვამთ, თორემ პირადაც რომ არა გვითხრან-რა, გუნებაში გაიცინებენ, არა-წმინდას დაგვიძახებენ და თვით ჩვენივე სინიდისი დაგვარცხვენის და გვისაყვედურებს: კამეჩი გვყვანდა ნიკორაო, აქებდი, არა იყო-რაო; რაც იყავ, იგრევ ის დაჰრჩი, ვერც-არა იმან გიყო-რაო. მესამეც ეს, ერთ-გვარობა და ერთ-სახობა თვითცა და მიწის ბუნებასაც-კი ჰბეზრდება და ნურც თქვენ იქნებით ერთ-სახოვანნი. რაც კაცი მეტად განვითარებულია, იმდენად უფრო მრავალ-ფერად მოქარგული და შეხამებულია მისი გონება-ხელის ნაწარმოები. მოიგონეთ შექსპირი და რუსთაველი. მეოთხეც ეს, ნუ რა გვწამს-რა იმ ახალმოდის სულელებისა, რომელთაც მტკიცედ სჯერათ, რომ ვითომ დიდი განათლება და მეცნიერება მარტო უნივერსიტეტიდგან შეიძლება გამოიტანოს ადამიანმაო; ეს მტკნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრება

31 მარტს

კრებას მრავალი წევრი და გარეშე კაცი დაესწრო, რადგან ფრიად საყურადღებო საგანი ჰქონდათ განსახილველი. ეს საგანი იყო ერევნის გუბერნატორის მოხსენება იმის შესახებ, რომ ერევანში დაარსებულ იქმნას სამეღვინეო სასწავლებელი. ბ-ნს ერევნის გუბერნატორს თავისი მოხსენება და თხოვნა ხსენებულ სასწავლებლის დაარსების თაობაზედ იმით აქვს დასაბუთებული, რომ ერევანში და იმისს მაზრებში უმთავრესი მეურნეობა მეღვინეობაა, ხოლო, რადგან ხალხმა არ იცის განკარგებული წესები მევენახობისა და ღვინის დაყენებისა, იმათი ღვინო ხეირიანი ვერა დგება, ბევრი ნაკლი მოეპოვება და ამის გამო რიგიან ფასად ვერ იყიდება, არც სხვაგანა აქვს გასავალი და ადგილობრივაც ვერ გამოუყენებიათ სარგებლიანადაო. ყოველ ამის შესახებ ერევნის გუნერნატორის მოხსენებაში დაწვრილებითი სასტატისტიკო ცნობებია აღნიშნული. ერევნის გუბერნატორი სთხოვს «საზოგადოებას» იკისროს და გამოარკვიოს წესდება და შტატი განზრახულის სასწავლებლისა: ხარჯი სასწავლებლისა, გუბერნატორის აზრისამებრ, ერევნის გუბერნიის მცხოვრებლებმა უნდა გაიღონ, ხოლო ხაზინაც უნდა დაეხმაროს ცოტაოდნად.

განზრახულს სასწავლებელს საგნად უნდა ჰქონდეს მომზადება თეორიითა და პრაქტიკით ბაღოსნობის მცოდნე და განათლებულ ღვინის დამყენებელთა და მევენახეთა. სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება-რთვით შეიძლება ხსენებულსავე სასწავლებელთან გაიმართოს პრაქტიკული კურსები გარეშეთათვისაც, თუ მოინდომებენ მევენახობისა, ღვინის დაყენებისა და სენიან ვაზის წამლობის პრაქტიკულად შესწავლას. სასწავლებელში ოთხი კლასი უნდა იყოს და მათ შორის ერთი მოსამზადებელი. თითო კლასში სწავლა თითო წელიწადს გაგრძელდება. მოსამზადებელ კლასის უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ ახლად მიღებულს ყმაწვილებს რუსული ენა ჯეროვანად გააკვეთინოს, რათა შემდეგს კლასებში შეეძლოთ ამ რუსულის ენის შემწეობით შესწავლა სხვა-და-სხვა საჭირო საგნისა. სასწავლებელში სულ 40 მოსწავლე უნდა იყოს: 10 სახელმწიფო ხარჯზედ მიღებული პანსიონერი, 20 თავისს საკუთარს ხარჯზედ მიღებული პანსიონერი და 10-ც გარედგან მოსიარულე მოსწავლე. ხსენებულს სასწავლებელს ერთ ხანად მოსაწყობ ხარჯად დასჭირდება 21,069 მ. 30 კ., ხოლო შემდეგ ყოველ წლივ 18,600 მანათი.

სამეურნეო საზოგადოების კრება ამ საგნის განხილვის დროს მხოლოდ ორს-სამს მხარეს შეეხო და დანარჩენი ნაწილი პროექტისა არც-კი განუხილავს მუხლით-მუხლამდე და ისე დაამტკიცა. კამათი ჯერ იმის გამო გაიმართა, საჭიროა, რომ განზრახულს სასწავლებელს მოსამზადებელი კლასი ჰქონდეს, თუ არაო. წარმოიდგინეთ, მკითხველო, აღმო-ჩნდა კრების დროს რამდენიმე კაცი (3), რომელნიც ამტკიცებდნენ, მოსამზადებელი კლასი სრულიად საჭირო არ არის და სასწავლებელს მხოლოდ სამი კლასი ეყოფაო. ასეთი აზრი, ზოგიერთის მიერ წარმოთქმული, მით უფრო უცნაურად მიგვაჩნია, რომ პროექტის აზრით, სასოფლო ორ-კლასიანს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული უნდა მიიღონ ხოლმე. ბევრი დამსწრეთაგანი იძულებული შეიქმნა კვლავ განემარტა ათასჯერ უკვე განმარტებული და ყველასაგან შეგნებული აზრი, რომ კავკასიელთა ყმაწვილებისათვის ძნელია რუსულის ენის შესწავლა, მერე ისეთს მივარდნილს ადგილს, როგორიც ერევნის გუბერნიაა, და ამის გამო, ვიდრე ყმაწვილებს რომელისამე საგნის შესწავლას დააწყებინებდნენ, ჯერ აუცილებლად საჭიროა მათ რუსული ენა ცოტაოდნად რიგიანად გაუკვეთოს მასწავლებელმა, თუ სასწავლებელმა. მოსამზადებელ კლასის საჭიროებას ზოგიერთნი შემდეგის მოსაზრებით ასაბუთებდნენ: თუ მოსამზადებელი კლასი არ იქნება გამართული განზრახულს სასწავლებელთან, მაშინ ადგილობრივ მცხოვრებთა შვილები, მხოლოდ სასოფლო ორ-კლასიან სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი, რუსულის ენის რიგიანად უცოდინარობისა გამო ვერ შეიძლებენ ეგზამენის დაჭერას განზრახულს სასწავლებელში შესასვლელად და ამის გამო ბურთი და მოედანი სხვა გუბერნიებიდგანა და სხვა სასწავლებლებიდგან მოსულს ყმაწვილებს დარჩებათ და ისინი ისარგებლებენ ერევნის გუბერნიის მცხოვრებთა მიერ გაღებულის ხარჯითაო. მოწინააღმდეგენი მოსამზადებელ კლასის საჭიროებისა ამას ამბობდნენ: ერევნის გუბერნიის სასოფლო სკოლებში წელიწადში 400—800 ყმაწვილი ამთავრებს სწავლასა და ნუ თუ იმათგან ორმოცი ყმაწვილი არ ამოირჩევა რუსულის ენის იმოდენად მცოდნე, რომ განზრახულს სასწავლებელში შევიდეს პირ-და-პირ პირველს კლასში და მოსამზადებელ კლასისათვის მომეტებული ხარჯი არ გავაღებინოთ ხალხსაო.

ხსენებულის საგნის მეორე მხარე, რომელსაც კრება შეეხო, შემდეგი იყო. ეგზამენით მივიღოთ ყმაწვილები სასწავლებელში, თუ უეგზამენოდაო. აქაც მრავალი სხვა-და-სხვა აზრი წარმოითქვა და მათს შორის შემდეგი უფრო საყურადღებო აზრიც. თუ ეგზამენი დაწესდა, მაშინ გლეხებს გაუჭირდებათ შვილების მიბარება სასწავლებელში და მოქალაქენი და თავად-აზნაურნი უფრო ადვილად მოახერხებენ ამას, რადგან შვილებს უფრო რიგიანად მოამზადებენო.

კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, რომ მოსამზადებელი კლასიც დაარსდეს განზრახულს სასწავლებელში, როგორც თვით პროექტშიაც არის ეს მოხსენებული, და ყმაწვილები ეგზამენით მიიღონ ხოლმე. 10 სახელმწიფო ვაკანსიიდგან 5 უთუოდ გლეხის შვილებს უნდა ერგოს. დანარჩენი ნაწილი პროექტისა, როგორც ზემოდაც ვსთქვით, კრებამ სრულიად არ განიხილა და ისე შეიწყნარა.

დასასრულ კრებისა წაკითხულ იქმნა ოქმი იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა რატიანის მიერ წარდგენილის აპპარატის განხილვა და შემოწმება—ივარგებს თუ არა სენიან ვაზისთვის წამლის საპკურებლადაო. კომისიას გაესინჯა ხსენებული აპპარატი და რამოენიმე მცირე ნაკლი აღმოეჩინა. თავისს ოქმში იხსენიებდა ამ ნაკლს და ამბობდა, თუ ბ-ნი რატიანი ამ ნაკლს შეასწორებს, მისი აპპარატი სრულიად გამოსადეგი იქნება სახმარებლადაო. მაგრამ იმის შესახებ-კი არა ჰქონდა-რა ნათქვამი, ამ ჟამად ვარგა ხსენებული აპპარატი სახმარებლად, თუ არა. ასეთი ოქმი კომისიისა არ იყაბულა კრებამ, კომისიას უკანვე დაუბრუნა და დაავალა, გარდაწყვეტილი აზრი წარმოსთქვითო.

ამას შემდეგ კრება დაიშალა. მეორე კრება დანიშნეს ვარაუდით ნაადგომევის ხუთშაბათისთვის.

---

## საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

ბლაღოჩინი გორის მაზრის პირველ საბლაღოჩინო განყოფილებისა, ოქონის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვდელი სოლომონ კანდელაკი, თავისისავე თხოვნის თანახმად, მოხუცებულობისა და ჯანის სისუსტის გამო დათხოვნილ იქმნა ბლაღოჩინის თანამდებობისაგან; ხოლო, იმის მაგიერ, ამა განყოფილების ბლაღოჩინის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა ქ. გორის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვდელი თომა ხახანაშვილი; ამასთანავე მღვდელს სოლომონ კანდელაკს ბლაღოჩინის თანამდებობის ოცდა-ათის წლის განმავლობაში აღსრულებისათვის გამოეცხადა მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მადლობა სამსახურის საფორმულიარო ნუსხაში ჩაწერით.

საროსის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მღვდელი სოლომონ უსტიაშვილი, ახალციხე-ახალქალაქის საბლაღოჩინო განყოფილების სამღვდელოების არჩევანის თანახმად, დამტკიცებულ იქმნა ამა განყოფილების მოძღვართა მოძღვრად.

### ახალს ადგილზედ გადაყვანილ იქმნენ:

თელავის მაზრის მესამე საბლაღოჩინო განყოფილების ბლაღოჩინის თანამდებობის აღმასრულებელი, აკურას ეკკლესიის მღვდელი სიმონ რცხილაძე, თავისისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნა წინანდალის წმ. გიორგის ეკკლესიაში; აკურის ეკკლესიაში-კი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დაინიშნა მღვდელი იმავე მაზრის სოფ. ვაჩნაძიანის ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიისა, ლაზარე აბრამიშვილი.

მაღრანის სამრევლოს მღვდელი იოანნე ლეშხაური, თავისისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნა ვაჩნაძიანის სამრევლოში.

უადგილოდ მყოფი მღვდელი გიორგი ღვინიაშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დანიშნულ იქმნა თელავის მაზრის სოფ. ქისტაურის სამრევლოში.

### ეკკლესიის მნათეებად დამტკიცებულ იქმნენ:

გორის მაზრაში: სოფ. ახალსოფლის მცხოვრებელი გლეხი გიორგი ელიზბარიშვილი დამტკიცებულ იქმნა ახალსოფლის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მნათედ.

დუშეთის მაზრაში: სოფ. მუხრანის მცხოვრებელი გლეხი სოლომონ თაბაძე მუხრანის—წამებულის ქეთევან დედოფლის ეკკლესიაში.

ამა 1892 წლის 2 თებერვალს, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის ლოცვა-კურთხევისამებრ ტფილისის მაზრის მეორე საბლაღოჩინოს ბლაღოჩინმა, დეკანოზმა ალექსანდრე ზუმბულიძემ სოფელს წინწყაროში აკურთხა ეკკლესია, ყოვლად წმიდის ღვთის-მშობლის მიძინების სახელობაზედ აგებული.

### სიკვდილის გამო ნუსხადგან გამოირიცხნენ:

ნუსხადგან გამოირიცხა წინანდლის წმ. გიორგის ეკკლესიის დეკანოზი პეტრე შიუკაშვილი, რომელიც გარდაიცვალა 1892 წლის 14 თებერვალს.

მღვდელი კაიშაურის წმ. გიორგის ეკკლესიისა ზაქარია სიაკაძე, გარდაცვლილი 1892 წლის 17 თებერვალს; მარტყოფის ტაძრის მთავარი გარსევან ხმალაძე, 1892 წლის 3 მარტს გარდაცვლილი; კოდას ეკკლესიის დიაკვანი ვასილი გურგენიძე, 16 თებერვალს გარდაცვლილი.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თელავი.** კვირას, 22 მარტს, ქუჩაში მოკლეს დღისით ხანჯლით 18 წლის სერგო ფარსადანოვი. მძიმედ დაჭრის შემდეგ საწყალი ფარსადანოვი გაიქცა და მკვლელებიც გამოუდგნენ; ამ დროს პოლიციამაც მიასწრო, მაგრამ მკვლელები მაინც გაიქცნენ და მიიმალნენ. მომაკვდავს სერგო ფარსადანოვს პოლიციამ გამოჰკითხა და მან ძლივს-ძლივობით მიუგო: „პანკისა“ და „მანეჟა“-ო (მეტი სახელებია). ერთმა ხელები დამიჭირა და მეორემ ხანჯალი დამცა მუცელშიო. ეს სიტყვები დაასრულა თუ არა, მაშინვე განუტევა საბრალომ სული. ზემოხსენებული ვაჟბატონები: „პანკისა“ და „მანეჟა“ დიდი ხანი არ არის, რაც ციხიდგან გამოვიდნენ და ხელ-ახლად ცუდ-კაცობას მიჰყვეს ხელი. მიმალულების დაჭერა მიანდეს ბოქაულს ბ-ნს ნ. იორამიშვილს, რომელსაც მეორე დღეს წინანდლის გზაზედ შეეფეთნენ წინ; დაჭერის დროს ბ-ნს ბოქაულს წინააღმდეგობა გაუწიეს, რევოლვერის სროლაც დაუპირეს, მაგრამ ბ-ნმა იორამიშვილმა ჩაფრების დახმარებით დაიჭირა ორივენი და რადგანაც ისე წამოყვანა ვერ მოუხერხეს («პანკისა» შესანიშნავი მოკრივეა და ღონიერი), ურემზედ დააკრეს და ისე ამოიყვანეს მაზრის სამმართველოში. ურემზედ დაკრული «პანკისა» ყვიროდა გზა და გზა: «დამარჩეთ რაღა, თქვე ოჯახდასაქცევებოო!» და სხ. მაზრის უფროსის განკარგულებით ციხეში უკრეს ორივეს თავი.

როგორც ხმაა აქ გავრცელებული, ეს მკვლელობა რაღაც საიდუმლოებით არის მოცული. ჯერ-ჯერობით დაბეჯითებით არა ვიცით-რა და შემდეგში შეგატყობინებთ.

---

**სოფ. რუისპირი,** თელავის მაზრა. მარტის ოც-და-შვიდს შემდეგი ორი ამბავი მოხდა აქ. პირველი: გზატკეცილის პირას, იმ ალაგას, სადაც თავ. მაყაშვილები ბინადრობენ, ბინადრობს ერთი ორფეხა ობობაც, რომელსაც აუშენებია პაწია დუქანი და ამ სახით გაუბამს ქსელი, ორფეხ მწერთა-კი არა, ირემთა გასაბმელად. ეს დუქანი ეკუთვნის იმ დუქანთა და სავაჭროთა გუნდს, რომელიც «ივერიის»-ს ფურცელზედ იყო განსჯილგანხილული («ივერია», № 55: «კახეთი»). ხსენებული დუქანი ახალ-წლიდგან აქამომდე დაკეტილი იყო, ვგო-

---

რი სირეგვნეა და მხოლოდ უმეცრები სჯიან ასე და ის-კი ფიქრადაც აღარ მოსდით საბრალოებს, რომ უნივერსიტეტი კაცის განათლება-მეცნიერებამ შეჰქმნა და არა უნივერსიტეტმა—კაცის განათლება-მეცნიერება. ბედს ყველასათვის არ ურგუნებია წილად შევიდეს უმაღლესს თეატრში და სცენიდგან მოისმინოს რომელისამე გენიოსის სიტყვები, მაგრამ რომელი ჭკუა-მოკლე იტყვის ამას: თუ თეატრში არა, თეატრს გარედ არ შეიძლება რომელისამე სანაქებო პიესის დედა-აზრების საფუძვლიანად შესწავლაო?! განა ცოტა ოჩოპინტრენი სხედან ხოლმე თეატრში, რომელთაც პიესის ღირსებისა და მნიშვნელობისაც-კი არა გაეგებათ-რა?! გაიხსენეთ თვით-განვითარებული გენიოსთა გენიოსები ქვეყნისა და ისიც, რომ ვერ იბულბულებს ჩიორა, ვერ გამოიცვლის ენასა, ყველა კაცს იგი დაჰყვება, რაც მიუცია ზენასა. აი ეს არის კიდეც მიზეზი, რომ ლობე-მძვრალა ოქროს გალიაშიაც ლობე-მძვრალა იქნება და „არ გათეთრდება ყორანი, რაგინდ რომ ჰხეხოთ ქვიშითა.“ აბა რაში მეკითხება სად გისწავლიათ: მინდორში, გომში, ქოხში, თუ უნივერსიტეტში, როდესაც სწავლა-მეცნიერების შეძენა ყველგან შეიძლება, თუ გული გულობს და ჭკუა გამჭრიახობს. თქვენ ეს გვიბძანეთ: რა ნაყოფი მოუტანა ქვეყანას თქვენმა ნიჭმა, ცოდნამ და გამოცდილებამ—აი საკითხავი! დიაღ, თქვენ ეს გვიბძანეთ: ქვეყანა თქვენზედ ვაშლსა და მსხალსა ჰკრეფავს, გამოუსადეგარი შამბ-ბალახი ჰბძანდებით, თუ თქვენგან დაცვივნული ნარ-ეკლები დღესაც ყველას ფეხებში ერჭობა? რომ თქვენი საქმე ვიცოდეთ და იმ საქმით აგწონოთ და გაგზომოთ დასაფასებლად, რადგანაც ხე ნაყოფით ფასდება და კაცი—საქმით; თორემ ცარიელა სიტყვას რო მივყვეთ—ერიჰააა! ენას ესეც შეუძლიან სთქვას: მეუფე ვარო, ზეცათ თავი ვარო და სხვა, მხოლოდ ვირის თავი ვარო არ იტყვის. მეხუთეც ეს, რადგანაც მჯობთა-მჯობი არ დაილევა და ცდა ბედის მონახევრეა, ამისათვის ყველა მოვალეა ეცადოს თავისი საქმე სხვის საქმეს დაამჯობინოს ისე, როგორც ყველა ხელობის კაცს, მჭედელს, დურგალს, ხარაზს და სხვას, შეუძლიან თავის ამქარს საჯობნელი ცილობა გაუწიოს თავისის საუკეთესო ხელობით და მოსაზრებით; ასეთი ცილობა ჩვენულობს თავს ქვეყნის ყოველ გვარ საქმეში: ჭკვაში, გრძნობაში, ხელოვნებაში, სილამაზეში და მრავალ სხვაში, რასაც-კი დაასახელებთ, და აი ეს ცილობაა კიდეც წინ-წამწევი ძალა პროგრესისა, რომელიც ერთის დროს მთლად გონების თვალებს აუხილებს ყველას და ადამიანთა სიყალბე გაიძვერობას აღარსად ექნება გასავალი, როგორც დღეს აღარა აქვს გასავალი პროფესორ ტრედიაკოვსკის ლექსებს. ხოლო ცილობაშიაც დიდი შრომა-მოსაზრებაა საჭირო და უიმათოდ-კი დიდი არა გაკეთდება-რა. წამბაძველნი ვიყვნეთ დაუცხრომელ სწავლა-შრომაში ჩინელების დიდებულ ბრძენ კონფუცისა. იგი ამბობს: „ისე უზომოდ მწყუროდა მუდამ ცოდნა-შრომა და ისე თავ-დავიწყებით ვიყავ გართული დღე და ღამე საქვეყნო შრომა-ფიქრებში, რომ ჭამა-სმაც-კი მავიწყდებოდა და ამასობაში ისიც ვერ გავიგე, როდის გავთეთრდი და დავბერდიო“. დიაღ, „სიცოცხლეს მაგას ვეძახი, სული ზრუნვაზე დალიოს“.

ჩვენ ეხლა ისევ ჩვენსას მივუბრუნდეთ და მწერლებზე და მწერლობაზედ სხვა დროსაც შეიძლება ლაპარაკი უფრო ვრცლად და დალაგებით. ამ ხელად-კი საქმემ ასე მოითხოვა და ნათქვამიც საკმარისია სიმართლის გასაგებად.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ნებ იმ მიზეზის გამო, რომელიც იმავე კორესპონდენციაში მოხსენებული, მაგრამ ეხლა-კი, ეს ორი კვირაც არ იქნება მას აქეთ, რაღაც მანქანებით ისევ გაიღო და ხელ-მეორედ გაება ყოვლად მავნებელი ორფეხა ობობას ქსელი. ამ დუქანში ხსენებულს დღეს ატეხილა ჩხუბი ერთ-ერთ მაყაშვილის ტყის მეველე ლეკსა (ამ მეველე ლეკების ავან-ჩავანსა და ოინებს მოგახსენებთ როდისმე) და ამ დუქნის კინტო-დახლიდარს შორის. საქმე იქამდე მისულა, რომ დახლიდარს ლეკისთვის საფანტით გატენილი თოფი მუცელში დაუცია. როგორც ამბობენ, თვრამეტამდე საფანტი მოხვედრია და საეჭვოც არის, რომ სიკვდილს გადარჩეს... ძლიანაც რომ დამძრახოთ, გამოტეხით გეტყვით, ეს ამბავი რომ გავიგონე, გულში ასე ვთქვი: ერთი თხა და მეორე მგელი-მეთქი, რადგანაც არც დამჭრელი და არც დაჭრილი დიდად სახარბიელონი არ არიან და ამათთანა მყვლეფავ-მძარცვავებისა და კაცობა-დაკარგულების გამო გულიც მიღრინავს!

მეორე: იმავე დუქნის ახლოს არაყის ქარხნებიც ბლომად გახლავთ. ხსენებულსავე დღეს ერთს ქარხანასაც ცეცხლი გასჩენოდა და სულ გადაბუგულიყო. საკეთილოდ, ნიავი სულ არ იძროდა, თორემ ხეირი არ დაეყრებოდა ერთის მაყაშვილის სახლკარს, რომელიც ქარხნის მახლობლად სდგას.

## საქართველოს ეკკლესიის მღვდელთ-მთავართა სია

კათალიკოზნი

(488—1811)

11 **სამოელ.** 569—572. ბაქარ IV დროს (557—570).

12 **სიმონ-პეტრე,** ანუ კვირიონ. 572—603. ესე სვიმონ აღყვანილ იქმნა კათოლიკოსად შობიდგან 25 წ. მიწერ-მოწერა ჰქონდა რომის პაპა გრიგორისთან (Др. г. Тиф. 170 გვ.). ებრძოდა სომეხთა კათოლიკოზს აბრაამს ხალკიდონის კრების განაჩენის მიუღებლობისათვის 596 წ. დვინს შეკრებილს სომეხთა მოძღვართა კრებასა, რომელსაც თვით არ დაესწრო, არამედ გაუგზავნა ხალკიდონის და სხ. კრებათა დადგინებანი, დოღმატთა გამოთქმანი და კანონნი— ამათ თანახმად იმწყსება ჩემი (საქართველოს) ეკკლესიაო. განდგა სომეხთა თანა-ერთობისაგან, რომელთაც ამისათვის უწოდეს «ბოროტი» (Ист. Барат. IV რ. 79 გვ.). ესრეთ დაირღვა სარწმუნოებრივი ერთობა ქართველ-სომეხთა შორის, გრიგოლ განმანათლებელის დროდგან დამყარებული. ამისი უმთავრესი მიზეზი იყო ვიზანტიის იმპერატორის არკადის (თეოდორეს ძის) სომეხთა თხოვნისა გამო უარი შემწეობაზედ, რომლისა გამო სპარსთა დაიპყრეს სომხეთი და ემუქრებოდნენ (ფეროზი, ანუ ხოსრო-ფარვიზი) მთლად აყრა-გადასახლებას სომხებს, თუ ბერძნებთან არ მოსპობდნენ სარწმუნოებრივს ერთობასა. ამისათვის მეფისა და კათალიკოზის რჩევით სომეხთა აღიარეს წვალება იაკობიტთა, რომელიც დაამკვიდრეს სირიიდგან მოსრულთა ცხრა მქადაგებელთა (ფეროზის ბრძანებით) კირიონ. კათალიკოზმა წურთავიდგან (სანადირო ქალაქი) განდევნა ეპისკოპოსი მოსე. ბევრს ეცადა შემდეგ ეკკლესიათა ერთობას სომხეთ-საბერძნეთის დვინის ორს კრებაზედ, კონსტანტინეპოლისა და ბოლოს კარნუქალაქის (არზრუმი) კრებებზედ, მარამ ამაოდ, თუმც სომეხთა წარმომადგენელთა აღიარეს განჩინება ხალკიდონის კრებისა (451 წ.). კირიონმა დაიცვა საქართველო ერთბუნებიანთა წვალებისაგან და დაამკვიდრა მცხეთის საკათალიკოზო დამოუკიდებლივ. 575 წ. კირიონმა აკურთხა გუარამ კუროპალატი მეფედ საქართველოსა (Арх. пут. ბაქრაძისა, 157—8 გვ.).

პ. ცხვილოელი

## რუსეთი

გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი გვქონდა ოფიციალური ცნობანი 1891 წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლისა და აღნიშნულიც იყო ის გარემოება, რომ 1891 წლის შემოსავალი წინა წლებთან შედარებით 61 მილიონ მანათით ნაკლებიაო. გაზეთი „Нов. Вр.“ ამ ცნობებით სარგებლობს და სცდილობს გამოიანგარიშოს, რამდენი იზარალა სახელმწიფო ხაზინამ 1891 წლის მოუსავლობისაგან. ამ გაზეთის ანგარიშით, სახელმწიფო ხაზინას მოუსავლობის გამო 1891 წელს 300 მილიონი მანათი მომეტებული ფული დაეხარჯა, რაიცა თითქმის ერთს მესამედს შეადგენს სახელმწიფოს მთელის შემოსავლისას. მიუხედავად ამ ზარალისა, ღირს-შესანიშნავია ის ამბავი, რომ სახელმწიფო ხაზინის თანხას ფული არ დაჰკლებია. პირ-იქით, სახელმწიფო საბჭოს ანგარიშიდგან ისა სჩანს, რომ ხაზინას იმდენი ოქროს ფული აქვს, რამდენიც 1891 წლის დამდეგს არა ჰქონია. მართლაც-და, სახელმწიფო ბანკის 1891 წლის იანვრის დამლევს გამოცხადებულის ანგარიშით, ხაზინას 447 მილიონი მანათის ოქრო ჰქონდა, 1891 წლის მარტის ნახევარში-კი 583 მილიონი მანათი, ე. ი. 136 მილიონ მანათით მეტი, სახელდობრ:

| | მილ. მან. |
|---|---|
| დასახურდავებელ ფონდისა. | 210,4 |
| ქაღალდის ფულის სათავდებო ფონდისა . . . . . | 75 |
| ოქროს ნაღდი ფული . . . | 165,7 |
| ნაღდი ფული საზღვარ - გარედ. . . . . . . . . | 125,6 |
| სახელმწიფო ხაზინის ოქრო და ვერცხლი . . . . . | 6,7 |
| ჯამი. . . . | 583,4 |

დასასრულ გაზეთი დასძენს, რომ ეს ამბავი ძლიერ სასიამოვნოა, რადგანაც, სხვა არა იყოს-რა, იმითი მაინც არის სასარგებლო, რომ სახელმწიფო უფრო იმედეულად არის, როცა მომეტებული ნაღდი ფული აქვს ხაზინაში. თუმცა ჯერ-ჯერობით არ შეგვიძლიან დაბეჯითებით გამოვიანგარიშოთ, რამდენი ზარალი მოუტანა რუსეთს შარშანდელმა მოუსავლობამ, მაინც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თვით ხალხსა და მეურნეობას ძლიერ დიდი ზარალი მოუტანა, ასე რომ არა გვგონია გადაჭარბებული იყოს, რომ ეს ზარალი ერთ მილიარდამდე ვიანგარიშოთ.

## ორიოდე სიტყვა ბ-ნს ჟიბერტს

შესახებ მისის რეცენზიისა „საქართველოს კალენდარზედ“.

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 70)

ჩვენს კალენდარში 500-მდე გვერდია და თითო გვერდზედ 32 სტრიქონია, ასე რომ ორთა შუა რიცხვი შეადგენს 15,000 სტრიქონზე მეტს. ამოდენა წიგნში ბ-ნ ჟიბერტს ამოუქქნია ათიოდე შეცდომა, ისიც ზოგი კორექტურული. უკაცრს და უმეცარს გვეძახის. დიაღ, ჩვენც გვაკვირს და ბ-ნს ჟიბერტს ძლიერ ჩვეანს და მეცნიერს კაცს გეძახით, თუ-კი თითონაც დაგვეთანხმება.

რა ღოღიკა, რა მართალ-მსაჯულება გათქმევინებდათ, ბ-ნო ჟიბერტო, შემდეგს ყოვლად შეუწყნარებელს და არა ჭეშმარიტს სიტყვებს: ხოლო ვიტყვით, რომ ბ-ნ გუნიას კალენდარში ტყუილი-ტყუილს მოსდევს და მთელი წიგნი ტყუილების აბლაბუდაა?! გამოტყდით, ბ-ნო ჟიბერტო, რომ ეს სიტყვები ან გაბერილი და გაზვიადებული ფრაზაა, ან არა-და, სურვილი ჩვენი კალენდრის უპატივოდ დასახვისა.

ან კიდევ, რა გათქმევინებდათ, ბ-ნო ჟიბერტო, ამისთანა ტყუილს (უკაცრავად, სხვა სიტყვას ვერა ვპოულობ): კალენდარს შეუძლიან მკითხველს სარგებლობის, დახმარების აღმოჩენის მაგიერ უსიამოვნება რამ მიაყენოს (!!) ხიფათი შეამთხვიოს (!!!) და უბედურებაც დაჰმართოსო (!!! ???). აბა ერთი მიბრძანეთ, რის უსიამოვნება, რის ხიფათი, რომელი უბედურება?! ბეღურას ჩიტებიც-კი სიცილით დაიხოცებიან, ბ-ნო ჟიბერტო! თვითო-ოროლა კალენდარის შეცდომებს ამდენი უსიამოვნების, ხიფათის და უბედურების მოტანა რომ შეეძლოს, მაშინ ხომ ყველა კალენდრები autodafé-ს უნდა მივცეთ.

ბ-ნმა ჟიბერტმა სულ ათიოდე შეცდომა ამოჰქქა და ჩვენც გავასამართლა,— ეხლა სურათებს მოდგა (თუმცა ისინი არც ჩვენ დაგვიხატავს და არც ჩვენ ამოგვიჭრია). სურათებიც არ კარგა თურმე. მერე იცით რათა? მამია გურიელის სურათი განსვენებულს არა ჰგავსო. ასეთი ტყუილიც არ გაგონილა. კალენდარში მოქცეულია სურათი, რომელიც ამ 20---25 წლის წინად იყო გადაღებული განსვენებული პოეტისაგან. ეს სურათი გამოგვიგზავნა პატივცემულ ჟამბაკურ გურიელმა, მამას უფროსმა ძმამ სხვა მეორე სურათთან და გვითხრა კიდეც, დასაბეჭდად ეს მოასმარეთო. ჩვენც ასე მოვიქეცით. ცხადია, რომ ეს სურათი არ ეგვანებოდა განსვენებულს პოეტს ამ უკანასკნელს დროში, სწორედ ისე, როგორც ბ-ნი ჟიბერტი ამ ოცის წლის წინად არ ეგვანებოდა სახით ეხლანდელს ჟიბერტს.

წლის სალიტერატურო განყოფილებაც საძაგელია თურმე. რათა? იმიტომ-რომ იმ ზაქელს, ლექსთა თხზვის საღერღელი რომ აშლია, ვურჩევთ სიტყვების რახა-რუხს და სხვა მწერალთა ბაძვას თავი დაანებოს და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ზაქელს (ამავე მღვიმელს) სხვა ახალგაზდა პოეტთა შორის არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს, დღეს პაწია სახელიც აქვს და ჩვენს მწერლობაშიაც პაწია მონაწილეობას ღებულობს («კვალში», «თეატრში», «ივერიაშიაც» რამდენჯერმე და სხვა საყმაწვილო წიგნებშიაც) და ყოველ წლივ პაწია და კოპწია ლექსებსაც აწვდის ხოლმე მკითხველებს; ვიმეორებთ, მიუხედავად ამისა, ბ-ნ ჟიბერტს ჰმართებდა ლიტერატურული ზრდილობისათვის მაინც ბ-ნ ზაქელის შესახებ პაწია პატივისცემა გამოეჩინა... მაგრამ საკვირველიც არ არის! ხოლო რაც მართლა გვაკვირვებს, ეს ის გაუგებარი წესი, რომელიც დასდო ბ-ნმა ჟიბერტმა ერთ-ერთს ზაქელის ლექსს, სახელდობრ «მეძარას». ამ ლექსში სურათებიც არის, პოეზიაც, ფანტაზიაც, და აზრიც, რომელიც ბ-ნ ჟიბერტს ვერ უპოვნია, ხომ ყოველ სტრიქონიდგან გამოსჭვის. მართალია, ამ ლექსში არის ერთი ხაზი, რომელიც რომ არ ყოფილიყო ჰჯობდა, თუმცა თვითონ ლექსი ამით არაფერსა ჰკარგავს; მაგრამ ამ ადგილებს ბ-ნი ჟიბერტი დიპლომატურად თავს ანებებს და გვითითებს მხოლოდ ამ ლექსზედ: „თორემ გიტირებ დედასა“.

ეს სიტყვა კერძოთ, უთავბოლოთ რომ ავიღოთ, მართლა და არა პოეტური და მეტად პროზაიკულია, მაგრამ ზემოთ ხსენებულ ლექსში კარგიც არის და საჭიროც. ნეტა რას იტყოდა ბ-ნი ჟიბერტი, რომ ეხლა, ჩვენდა საბედნიეროდ და სასურველად, ჩვენი წარსული დრო რომ მობრუნებულიყო და გაეგონა ის მომაჯადოებელი პროზაიკული სიტყვები, რომლის გაგონებაზედ ქართველები საარაკო გმირობას სჩადიოდნენ და რომლის ძახილზედ დიდი თუ პატარა ერთ ხორცად და ერთ სულად გადიქცეოდა ხოლმე მტრის საწინააღმდეგოდ. ის სიტყვები გახლავთ: დედა შეერთოს ცოლათა?!! ეს ისტორიული სიტყვები და თუმცა პოეზიისა არა აცხია რა და ეხლანდელ გარყვნილ ყურსაც ეჩოთირება, მაინც წმინდა სიტყვებად მიგვაჩნია...

ვისაც ბ-ნ ჟიბერტის რეცენზია წაუკითხავს, ყველას უკვირს, და ეხლა აღბათ ჟიბერტსაც გაუკვირდება ერთი გარემოება. ვსთქვათ, რომ კალენდარს ორს განყოფილებაში ათი, ოცი, თუნდა ორმოცი და ასი შეცდომაც ნახეთ, ნუ თუ ათს სხვა განყოფილებაში ოდნავ, ფრჩხილის ოდენა მაინც სიკეთე არ იპოვეთ, და რომ იპოვიდით, ამაში ეჭვი არ არის. რატომ იმ აუარებელ ნაკლულევანებასა და შეცდომებთან იმ ოდნავ სიკეთეზე არა სთქვით-რა? ვსთქვათ, რომ სურათებში იმერელი ქალი იმერულად ჩაცმული არ არის, ნუ თუ იმ ორმოც სურათებში — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, ბაქრაძე, ერისთავი, ჩუბინაშვილი და სხვა და სხვა არა ჰგვანდნენ ორიგინალებს? ხომ გვანდნენ? მაშ რატომ იმ ყოვლად უპატივისი სურათების ჩამოთვლაში ერთი მაინც კარგი სურათი არ მოიხსენიეთ? სალიტერატურო განყოფილებაში, ვსთქვათ, ზაქელის ლექსი «მეძარა» ყოვლად უპატივისი და უაზროა, მაგრამ ნუ თუ დანარჩენი მისი თუ სხვისი ლექსები, პროზა და სხვა მრავალ წერილებში არაფერი გამოჩნდა ისეთი, რომ თქვენი მწყალობელი მოწონების ღირსი ყოფილიყო, და თუ იყო, რატომ არ დაასახელეთ?

თქვენ უეჭველია მოგეხსენებათ, ბ-ნო ჟიბერტო, რომ ყოველს კრიტიკას თუ რეცენზიას ბუნებად აქვს ერთი თვისება. ეს გახლავთ მიუდგომლობა, ე. ი. ნაკლულევანებასთან ღირსების ჩვენება, სიმრუდესთან სისწორის გამოჩენაც. რაკი რეცენზიაში ეს დაცული არ იქნება, მაშინ იგი საგანს ვერ აღწევს და უმართებულოც არის.

«დასასრულ, ბრძანებს ბ-ნი ჟიბერტი, ბ-ნ გუნიას მივმართავთ შემდეგით: იმდენი დაუდევრობა, გულ-გრილობა, რამდენიც იმას გამოუჩენია, სწორედ იშვიათია და მხოლოდ ჩვენშიღა თუ შესაძლოა და მოსათმენი». რათა, ბ-ნო ჟიბერტო, რად მწამებთ ასეთს საშინელს ცოდვს? რა ჩავიდინე ისეთი, რომ განდევნას მიპირებთ ჩვენის საზოგადოებიდგან, ჩვენის ქვეყნიდგან? რომელი ბოროტება, რომელია სიპილწე შესაძლოდ არ ჰხდის ჩვენ უბრალო შრომას და გულ-წრფელ მეცადინეობას?! რა მომაკვდინებელი ცოდო, ჩვენგან ჩადენილი, რა შემაძრწუნებელი ბოროტებანი, რა მოუთვალავი უბედურებანი ჩვენის კალენდრით მოვლინებული არ მოსათმენად გხდის ჩვენ და ჩვენს კალენდარს ქართველ საზოგადოებაში? ნუ თუ მოსათმენი არა ვართ იმიტომ, რომ ჩვენ ერთად-ერთი კაცი, უგროშ-კაპეიკოდ, უამხანაგოდ, როგორც თქვენ ბრძანებთ: ბ-ნი გუნია აღიჭურვა ფრიად სასიკეთო აზრით და საქართველოს კალენდრის ბეჭდვა განიზრახა ყოველ წლივ და ამ ხუთის წლის განმავლობაში თავის განზრახვისთვის არ უღალატნია... ნუ თუ ჩასაქოლი ვართ იმისთვის, რომ მიუხედავათ უხეირო კონკურენტისა *), ჩვენ მიერ გაწეულის ხარჯისა და ქანც-გაწყვეტილი შრომისა და ჯაფისა, დღემდე ვეწევით იმ საქმეს, რომელსაც თქვენვე სასიკეთო-სასარგებლოს ეძახით და ზედ დასძენთ: „ჩვენ საზოგადოებას ყოველ წლივ აწვდის ხოლმე საკმაოდ მოზრდილს იაფის ფასის კალენდრებს და კიდევაც შეაჩვია საზოგადოება თავის კალენდარს და სხვა“. ნუ თუ, ვიმეორებთ, რამდენიმე შეცდომისათვის ასე დაურიდებლად და შეუწყალებლად ჩასაქოლი და არ მოსათმენი ვართ?

ნეტა რითი დავიმსახურეთ ასეთი წყრომა რეცენზენტისა: ვალ. გუნია ბოროტად ხმარობს საზოგადოების ნდობასო და სხვა. ამით თქვენ შე მწამებთ საზოგადოების ნდობის და წყურვილის ბოროტად ხმარებას. განა ეს მართალია?

უნდა მოგახსენოთ, ბ-ნო ჟიბერტო, მთელს ჩვენ ხან-მოკლე და უსახელო სიცოცხლეში თუ გვერეულვართ რომელსამე საზოგადო თუ კერძო საქმეში, მუდამ ყამ საგნად გულწრფელი და უზადო შრომა გვქონია, სასარგებლო და სასიკეთო განზრახვა წინ გაგვძღოლია. ჩვენ ამით ვამაყობდით, ამით მოგვქონდა თავი და ხშირად ცხოვრების და სასტიკ გარემოებათა ტვირთ ქვეშ მოქცეულს მხოლოდ ამ აზრით-ღა ვიბრუნებდით სულს და თქვენ-კი, ბ-ნო ჟიბერტო, იმის გარდა, რომ არაფერი შეიწყნარეთ-რა ჩვენი, ბოლოს ისიც-კი შეგვიღახეთ, რაც ჩვენ წმინდათ მიგვაჩნია. ეს არ არის, კარგი თოხრემ თქვენ იცით.

ენა ყველაფერს იტყვის, ქაღალდი ყველაფერს აიტანს!

ნუ იფიქრებთ, ბ-ნო ჟიბერტო, რომ ჩვენი პასუხი გამწვავებული იყოს რაიმე წყენით და გულ-ნატკენობით, ან იმ გრძნობათ, რომელსაც ავტორას გასიებულ თავ-მოყვარეობას ეძახიან. გარწმუნებთ, რომ არა... ჩვენ თუ გამოგეხმაურეთ, არა ისე, როგორც ავტორი, არამედ უფრო როგორც ჩვენი ცხოვრების მეოვალეური, რომელსაც გული სტკივა და სულიც უშფოთავს, როდესაც უადაგო მსაჯულობას და გაზვიადებულ დასჯას ისმენს. იქნება იგი მსაჯულობა და დასჯა გულწრფელიცაა, მაგრამ მაინც არა სასურველია და, თქვენის სიტყვებით დავაბოლოვებ, არა მოსათმენი მოვლენაა.

ვალ. გუნია

28 თებერვალი 92 წ.

*) ჩვენ საქმის დაწყებამდე ორიოდე კალენდ·რი გამოდიოდა, ხოლო მეორე წელსვე ერთბაშად თერთმეტი გამოვიდა, რომლებიდამაც დღეს მხოლოდ სამი-ღა სცოცხლობს.

## წვრილი ამბავი

თებერვლის შუა რიცხვებში მენტონს ახლო, იტალიის მიწა-წყალზედ, სამი ჩონჩხი იპოვნეს ადამიანისა და მაშინვე იმ აზრს დაადგნენ, რომ ეს ჩონჩხები ქვის საუკუნეს ეკუთვნიანო. ჩონჩხები გამოქვაბულში ეწყო, ზღვის ნაპირს ახლო, დედამიწაში, და მაშინ წააწყდნენ ზედ, როდესაც გაჭარ აბზოს სახლის სარდაფისა სთხრიდნენ. როდესაც ეს ამბავი გავრცელდა, გერმანიდგანა, პარიჟიდგანა და რიგადგან მეცნიერები წავიდნენ ამ ჩონჩხების გამოსაკვლევად. ორი ჩონჩხი ჩვეულებრივის სიგრძისაა, მესამე-კი ცოტა უფრო მოზრდილი. სწავლულებმა დაადგინეს, რომ ორი ჩონჩხი ჭაბუკისაა, მხოლოდ ერთი-კი სამოცის წლის მოხუცს ეკუთვნისო. საკვირველი ის არის, რომ სამსავე ჩონჩხს უშველებელი თავის ძვლები აქვთ, შუბლზედ გაკეთებული აქვთ ჯაჭვსავით ცხოველების ძვლები და კბილები, ერთმანეთზედ ასხმული, კისერზედ-კი თევზის ძვლები ჰკიდიათ. დიდს ჩონჩხს ხელში ქვის იარაღი უჭირავს და იმის ფეხით რაღაც ისტორიის წინა დროის ცხოველის უბა ჰგდია; ორს დანარჩენს ჩონჩხსაც უჭირავთ ხელში ქვის იარაღი. იტალიის მთავრობას უკვე მოლაპარაკება აქვს გაჭარს აბზოსთან და ჰსურს შეისყიდოს ეს სამივე ჩონჩხი.

— ავღანისტანის ემირმა საჩუქრად გაუგზავნა იმის მფარველობის ქვეშ მყოფს ბადახშანის ემირს ფარფორის ჭურჭელი ვერცხლის კოვზებითა და დანა-ჩანგლებითურთ. ბადახშანში დღევანდლამდე ცოდნითაც არ იცოდნენ, თუ დანა-ჩანგალ-კოვზი არსებობდა ქვეყნად და გამოსაყენებელი იყო რისათვისმე და თვით ემირიც-კი უკანასკნელ ხანამდე ხელით შეექცეოდა საჭმელს. ამიტომ ემირმა წვეულება გამართა, თავისი მინისტრები, გენერლები და კარის-კაცნი მიიწვია და ასწავლა, როგორც უნდოდა ამ ახალის იარაღის მოხმარება.

— ერთმა ამერიკელმა რომანების მწერალმა ქალმა ამას წინად ფილადელფიის სასამართლოში გაამხილა და გამოამჟღავნა საიდუმლო იმისი, თუ რა გვარად სწერენ და აზავებენ ქალები რომანებს ამერიკაში. ეს «მწერალი ქალები» «რომანების ფაბრიკაში» ჰმსახურობენ და კვირაში შრომის ფასად თითოეულს რვა-რვა თუმანი აქვს დანიშნული. ამ ფულის საფასურში ვალდებულნი არიან ორს კვირაში ერთი რომანი შეხსნხლონ; ამასთან ნება ეძლევათ, რომ სხვა რომანებიდგან ამოიღონ ზოგიერთი წვრილმანი და აგრეთვე კვანძი მოთხრობისაო.

— როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, მილანმა, სერბიის მეფის აწინდელმა მამამ, ყოველსავე თავის უფლებაზედ უარი განაცხადა. ეხლა ბელგრადში დაიბეჭდა თურმე სათხუჯო გაზეთები, რომელშიაც კილო აქვს გამობმული მილანის ამ საქციელს. გაზეთები აღნიშნავენ მილანის ბაშფორთის ნიშნებს. მილანი ბაშფორთში უნდა აღნიშნული იყოსო, სწერენ: მილან ობრენოვიჩი. სადაური მოქალაქეა? არც სადაური. სამშობლო სადა აქვს? არსად, თითონაც არ იცის. რა მოხელე კაცია? არაფერი მოხელე. რით სცხოვრობს? ღმერთმა უწყის. ზოგიერთს გაზეთში მილანის ნეკროლოგებიც-კი იყო თურმე დაბეჭდილი.

### პეტერბურგის ბირჟა, 31 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,81 | 7,85 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155¾ | 156 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,12 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 236¼ | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | 218½ | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 197½ | — ,, | 198 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | 102 |
| 5% . . . . . . | 99 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | 102 |
| 5% . . , . . . | 99½ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**ბათუმიდამ ვადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

**ფოთიდგან გადის:**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

### ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

# განცხადებანი


## ქართველებს

საალდგომო საჩუქრად.

ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

**ილია ჭავჭავაძის** თხზულებათა

1 ტ. (ლექსები და პოემები) კარგ ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით. 2 მ. 50 კ.
იგივე უყდო. . . . 2 მ.
იგივე მდარე ქაღალდზედ . 1 მ. 20 კ.
„ბნელო“, მოთხრობა მელანიასი მშვენიერის ყდით . 90 კ.
დავითაშვილის ნაწერები ლამაზის ყდით. . . 1 მ. 25 კ.
ზღაპრები ლამაზი ყდით . 80 კ.
ყაზბეგის თხზულებანი I, II, III ტ. ფასი თითო ტომისა მშვენიერის ყდით. . 2 მ. 50 კ.
ხოლო სამი ტომი ერთად. . . . . . . 7 მ. „ „

## შველგან!!!

საპონი ოლეო-ვაზელინი

**როიალ-კონგო!**

ახალი ამბავი!!!

**სურნელოვანი წყლები**

FIN DE SIÈCLE

და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი ფაბრიკისა

„ვიქტორია რეგინასი“

**ე. გოდლო და ამხ.**

მოსკოვში.

(10—8)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში და „ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში

## წყარო

ქართულ ენის სახელმძღვანელო მოსამზადებელს კლასებისთვის,

შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან

ფასი ორი აბაზი

(5—5)

## ი. ალოიზი და ამხ.

ბრეშუმის ჭიის მოსაშენებელი სახლი მოლტიფაოში, კორსიკას (საფრანგეთში)

ვისაც ჰსურს ალოიზის ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლის შეძენა, უმორჩილესად ვთხოვთ, მიმართონ კავკასიის **სამეურნეო საზოგადოებასა და აბრეშუმის ჭიის სადგომს ტფილისში.**

ბევრის მსყიდველთ მიმართონ წევრს სამეურნეო საზოგადოებისას, ბ-ნს ვ. სულხანიშვილს, ტფილისში, კუკია, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, № 39.

აბრეშუმის ჭიის თესლი ბ-ნ ალოიზისა ყუთებში არის, თითოში 1, 3, 5 და 10 მისხალი. ერთი მისხალი ღირს სამი აბაზი.

ამ აბრეშუმის თესლის სიკეთის თავმდებია ის გარემოება, რომ 1890 წელს მისი პატრონი დაჯილდოვებულ იქმნა საპატიო დიპლომით და დღეს კიდევ ითვლება ოფიციალურად თურქესტანისათვის ამ თესლის მხოლოობით მიმყიდველად (16—13)

ი. ალოიზი

**გამოვიდა და ისყიდება**

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

## ზ ა დ ი გ ი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „**ბორკილი**“ და ჰღირს 40 კაპ.

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯ ე ჯ ი ლ ი“

(მესამე წელიწადი)

გამოვა 1892 წელსაც, ორთთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში Красногорская ул. д. Назарова № 7.)
2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.
3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.
4) ბათუმში მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.
5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი—წერეთლისა.


Дозв. ценз. Тифлисъ, 1-го Апрѣля 1892 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.